ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4100622

ნომერი: AR1552075

თარიღი : 25.10.2017

გაცემის თარიღი : 02.08.2018

გაცნობის თარიღი : 02.08.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღომის შემაერთებელი გზა , ავტომანქანების ბაზრობა , მოპირდაპირედ , (04/062) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გელაშვილი პ/ნ 11001005641
- კოსტავას ქუჩა

ორგანიზაცია:

- შპს სასტუმრო ევროპა კოდი: 205231202

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 25 ოქტომბრის AR1552075 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 მაისის #1-994 ბრძანებით ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში გლდანი-დიღმის შემაერთებელი გზა, ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ არსებული მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.13.01.004.081, 01.13.01.004.062), კულტურის და დასვენების ობიექტის (პავილიონი, ორანჟერეა, პერგოლა, ბუნგალო) განთავსების მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. აქედან გამომდინარე, საკითხი საჭიროებს აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილების შეტანას და საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 მაისის #1-994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 ივლისის ბ01.01182117 ბრძანებით უარი ეთქვა ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში გლდანი-დიღომის შემაერთებელი გზა, ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.13.01.004.081, 01.13.01.004.062) კულტურის და დასვენების ობიექტის (პავილიონი, ორანჟერეა, პერგოლა, ბუნგალო) განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 მაისის N1-994 ბრძანებაში ცვლილების შეტანას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 ივლისის ბ01.01182117 ბრძანებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.